საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

შემოწმების აქტი № 002681//შ

შედგენის თარიღი: 25 მარტი, 2022 წ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილების შესაბამისად, კერძოდ, **2021 წლის 8 ნოემბრის №002681** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და მასზე თანდართული **№002681/ო** მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსასწორებლად განსაზღვრული 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტების, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტების (უფროსი შრომის ინსპექტორები) [redacted] და [redacted] მიერ, **2022 წლის 25 იანვარს** განხორციელდა შემდეგი ორგანიზაციის განმეორებითი ინსპექტირება:

ორგანიზაციის დასახელება: შპს მედალფა;
შემოწმებული ობიექტის დასახელება: შპს ,,მედალფა“ - კასპის კლინიკა;
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404908043;
დირექტორი: ზვიად მარტიაშვილი;
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., №16;
შემოწმებული ობიექტის მისამართი: კასპი, სააკაძის ქ. N 27ბ.

შპს მედალფას მიმართ, **2021 წლის 8 ნოემბერს გაიცა №002681** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მასზე თანდართული **№002681/ო** მითითება, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ სამართალდამრღვევს განესაზღვრა 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა მითითების გამოსასწორებლად.

დამსაქმებელს **2021 წლის 8 ნოემბრის №002681** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მასზე თანდართული **№002681/ო** მითითება, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, ჩაბარდა 2021 წლის 12 ნოემბერს.

განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში, შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ არსებითად შესწავლილ იქნა სამართალდარღვევის ოქმითა და მასზე თანდართული მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორების საკითხი. კერძოდ:

1. **2021 წლის 8 ნოემბრის №002681/ო მითითება (#2)**

მითითების მიხედვით, სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის წარმოება არ ხდებოდა მინისტრის ბრძანებით დადგენილი შევსების წესის შესაბამისად. აღნიშნული დარღვევის გამო დადგინდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" 24-ე მუხლის მე-11 პუნქტის დარღვევა და გაიცა მითითება, რომლითაც სამართალდამღვევს დაევალა სამუშაო დროის აღრიცხვის დოკუმენტის კანონდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად წარმოება.

განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში დამსაქმებელმა წარმოადგინა სამუშაო დროის აღრიცხვის დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია გაცემული მითითებები სამუშაო დროის აღრიცხვის წესთან დაკავშირებით.

2. **2021 წლის 8 ნოემბრის №002681/ო მითითება (#3)**

მითითების მიხედვით, გამოსაცდელი ვადით შრომითი ხელშეკრულებები ერთი და იგივე თანამშრომლებთან რამდენჯერმე იყო გაფორმებული. შესაბამისად, დადგინდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" მე-17 მუხლის დარღვევა და დამსაქმებელს დაევალა შრომითი ხელშეკრულებების დებულებები შესაბამისობაში მოეყვანა შრომის კანონდებლობის მოთხოვნებთან და გამოსაცდელი ვადით ხელშეკრულების რამდენჯერმე გაფორმება არ მოეხდინა.

განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში, წარმოდგენილია ახალი შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმდა 2021 წლის 01 დეკემბერს და რომელშიც გამოსაცდელი ვადის დათქმა პირველი ინსპექტირების ფარგლებში შემოწმებული თანამშრომლების ხელშეკრულებებში გათვალისწინებული აღარ არის.

3. **2021 წლის 8 ნოემბრის №002681/ო მითითება (#4)**

მითითების მიხედვით, შრომითი ხელშეკრულებებით სამუშაო დრო განსაზღვრული იყო ზოგადი ფორმულირებით და არ იყო დაკონკრეტებული რომელ სამუშაო რეჟიმს ექვემდებარებოდა დასაქმებული. კერძოდ, შრომითი ხელშეკრულებების მიხედვით, სამუშაო დროის ფორმულირება მოიცავდა ერთი მხრივ, კვირაში 6 დღიან სამუშაო დროს და მეორე მხრივ, ცვლიანობის რეჟიმს. შესაბამისად, დადგინდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" მე-14 მუხლის პირველი

პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა და დამსაქმებელს დაევალა შრომით ხელშეკრულებებში ზუსტად განესაზღვრა სამუშაო დრო, ისე რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო დასაქმებულებისთვის ადეკვატური დასვენების დროით სარგებლობის უფლება.

განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში წარმოდგენილია ახალი შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებულია 2021 წლის 01 დეკემბერს. აღნიშნული ხელშეკრულებების მე-3 პუნქტით დეტალურად არის განსაზღვრულია სამუშაო დრო. კერძოდ, ხელშეკრულებების 3.1 პუნქტის თანახმად, *„სამუშაო დრო განისაზღვრება 6 (ექვსი) დღიანი სამუშაო კვირით ან ყოველი თვის დასაწყისში დამტკიცებული ცვლიანობის განრიგით. ამასთან, 6 დღიანი სამუშაო კვირის შემთხვევაში, ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს და ცვლებს შორის დასაქმებულის უწყვეტი დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.“*

4. 2021 წლის 8 ნოემბრის №002681/ო მითითება (#5)

მითითების მიხედვით, შრომით ხელშეკრულებებში არ იყო განსაზღვრული დასაქმებულის შესასრულებელი სამუშაოს სახე და აღწერილობა. შესაბამისად, დადგინდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევა და დამსაქმებელს დაევალა დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობების შრომით ხელშეკრულებებში განსაზღვრა.

განმეორებითი ინსპექტირების დროს წარმოდგენილი იქნა ახალი შრომითი ხელშეკრულებები, რომელსაც დაერთვის დასაქმებულთა თანამდებობრივი ინსტრუქციები შესაბამისი დასაქმებულის ხელმოწერით დადასტურებული.

5. 2021 წლის 8 ნოემბრის №002681/ო მითითება (#6)

მითითების მიხედვით, თანამშრომლები კოვიდ განყოფილებებში დასაქმებულები იყვნენ არა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით, არამედ დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რომელშიც არ იყო განსაზღვრული ანაზღაურების ოდენობა. შესაბამისად, დადგინდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა და დამსაქმებელს დაევალა კოვიდ განყოფილებაში დასაქმების თაობაზე ორმხრივი შეთანხმების გაფორმება.

განმეორებითი ინსპექტირების დროს წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების მიხედვით, ზუსტად განსაზღვრულია დასაქმებულის პოზიცია კოვიდ

განყოფილებაში, შესაბამისად, კოვიდ განყოფილებაში თანამშრომელთა დანიშვნა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე არის განხორციელებული.

შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტებისა და ინფორმაციის შესწავლის, დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან გასაუბრების, შრომით ნორმებთან ანალიზისა და ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, **2021 წლის 8 ნოემბრის №002681** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და მასზე თანდართული **№002681/ო** მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორების საკითხის შესწავლის საბოლოო შედეგები შემდეგნაირია:

№	**გაცემული მითითება**	**შედეგი**
1.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 41-ე მუხლის პირველი პუნქტი** „შრომის ანაზღაურება არის ძირითადი ან მინიმალური ანაზღაურება ან ხელფასი ან ნებისმიერი სხვა ანაზღაურება, რომელიც გადახდილია ფულადი ფორმით ან ნატურით და რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ იღებს დასაქმებული დამსაქმებლისგან სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ.“	**მითითება არ შესრულდა**
2.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი** დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. დამსაქმებელი ვალდებულია	მითითება შესრულდა

	სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის დოკუმენტი შეინახოს 1 წლის განმავლობაში. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმას განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი) სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ.	
3.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-17 მუხლი** „შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია მასთან მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არაუმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით.“	მითითება შესრულდა
4.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი** „1. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია: გ) სამუშაო დრო და დასვენების დრო;“	მითითება შესრულდა
5.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი** „1. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია: ე) თანამდებობა (არსებობის შემთხვევაში მიეთითება რანგი, თანრიგი, კატეგორია და სხვა) და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა;“	მითითება შესრულდა

6.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი** „2. თუ შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა 1 თვეს აღემატება, აუცილებელია შრომითი ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება“	მითითება შესრულდა

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ შემოწმების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა:

უფლებამოსილი პირ(ები)ი:

[redacted]

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი: